საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 5 20 00458746

11/06/2020

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის „ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი“ დადასტურების შესახებ

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის 2020 წლის 9 ივნისის №448742 სამსახურებრივი ბარათის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) დანართის შესაბამისად დაუდასტურდეს პროფესიული მომზადების პროგრამა „ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
00653	ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	20	ქ. თბილისი, წერონისის ქ.208